

სამედიცინო ეკოლოგია

////1. ჯანმრთელობის ხელშემწყობი გარემოს კონცეფციაში მოცემულია ჯანმრთელობის დეტერმინანტები:

- /// ღია გარემოსათვის
- /// ბავშვებისა და მოზარდებისათვის
- /// მოსახლეობის ყველაზე მგრძობიარე ჯგუფებისათვის
- // მთელი მოსახლეობისათვის

////2. ტყვის მომატებული დონე დაბინძურებულ ურბანიზებულ გარემოში მცხოვრებ ბავშვებში იწვევს:

- /// დღე-ღამური ბიორიტმის ცვლილებებს
- /// წონის მატების შეჩერებას
- /// სიმალლეში ზრდის შეფერხებას
- // ნეიროფსიქოლოგიური განვითარების დარღვევას

////3. აკროდინია წარმოადგენს შედეგს განმეორებადი ზემოქმედებისა:

- /// ტყვის
- /// დარიშხანის
- // ვერცხლისწყლის
- /// ვერცხლის

////4. თანდაყოლილი მინამატას დაავადება, კლინიკური სურათის მიხედვით, მსგავსია:

- /// პარკინსონის დაავადების
- // ბავშვთა ცერებრული დამბლის
- /// ალცჰეიმერის დაავადების
- /// ჰემოფილიის

////5. სასმელ წყალში დარიშხანის კონცენტრაციის მომატებასთან ერთად მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში მკვეთრად იზრდება განვითარების რისკი:

- /// ტროფიკული წყლულის
- /// განგრენის
- // შავი ტერფის
- /// პოდაგრის

////6. ეკოდაპოკიდებული ალოპეცია დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებასთან:

- // მძიმე მეტალებითა და ბორფტორირებული შენაერთებით
- /// პესტიციდებით, სასუქებით
- /// ვერცხლისწყლოვანი შენაერთებით
- /// ზედაპირულ-აქტიური ნივთიერებებითა და ნავთობით

////7. ზინის მოწყობისას უმჯობესია უპირატესობა მიენიჭოს:

/// ბეტონს

/// აგურს

/// კერამიკას

// ხეს

////8. მერკაპტანს ახასიათებს მოქმედება:

/// ანტიჰისტამინური

/// ტკივილგამაყუჩებელი

/// ანტისპაზმური

// ძლიერი ნარკოტიკული

////9. ობის სოკოები კარგად მრავლდება:

// მომატებული ტენიანობისა და არაეფექტური ვენტილაციის პირობებში

/// გამჭოლი განივების პირობებში

/// კარგი ინსოლაციის პირობებში

/// მომატებული ატმოსფერული წნევის პირობებში

////10. შენობებსა და მის გარეთ მაიონებელი გამოსხივების ლოკალური წყაროები შეიძლება იყოს:

/// საყოფაცხოვრებო ქიმიკა (დასასუფთავებელი საშუალებები, თმის ლაქი, წებო, საღებავები)

/// მაცივარი, მიქსერი, ბლენდერი, უთო, ელექტროლუმენი, სარეცხი მანქანა, მტვერსასრუტი

/// ანტიკვარული ჭადები

// გასული საუკუნის 60-იან წლებში დამზადებული მალვინარები და მაჯის საათები

////11. ელექტრომაგნიტური ველების მოქმედების შორეული შედეგებია:

/// ინსულტი, ინფარქტი, თრომბოემბოლია

// სისხლის სიმსივნური დაავადებები, ტვინის სიმსივნეები

/// ალერგიული დაავადებები

/// ართროზი, კიფოზი

////12. ქიმიური იარაღის გამოყენება აკრძალულია:

/// მონრეალის პროტოკოლით

/// ოტავის ქარტიით

/// ბაზელის კონვენციით

// ჰააგის დეკლარაციით

////13. ბირთვული აფეთქებისას შეიძლება განვითარდეს ბირთვული:

/// გაზაფხული

/// ზაფხული

/// შემოდგომა

// ზამთარი

////14. ოზონის მოლეკულების დაგროვება სტრატოსფეროში ხდება ჟანგბადის მოლეკულებზე შემოქმედების შედეგად:

/// მზის სპექტრის ხილული სხივების

/// ინფრაწითელი სხივების

// ულტრაიისფერი სხივების

/// ალფა-სხივების

////15. ოზონის დაშლას იწვევს ატმოსფეროში მოხვედრა და თანდათანობითი გადასვლა სტრატოსფეროში:

/// ქლორირებული ნახშირწყალბადების

/// ზედაპირულ-აქტიური ნივთიერებების

/// ტერატოგენული, ემბრიოტოქსიკური ნივთიერებების

// ქლორ-ფთორ-ნახშირბადის ნაერთების

////16. სათბურის მინის მსგავსად მოქმედებს წყლის ორთქლი და:

/// ნახშირჟანგი

// ნახშირორჟანგი

/// ნახშირბადი

/// ნახშირწყლები

////17. ქიმიური ან რადიაციული ავარიის დროს გადაუდებელ პრიორიტეტს წარმოადგენს:

/// დეზაქტივაცია და ტრანსპორტირება

/// დეზაქტივაცია და მკურნალობა

// დეკონტამინაცია

/// მავნეობის იდენტიფიკაცია

////18. ბუნებრივი კატასტროფის სახეობას, რომელიც კლიმატთან არის დაკავშირებული და აქვს ტექნოლოგიური კატასტროფის ბევრი უარყოფითი მახასიათებელი, წარმოადგენს კომბინაცია:

/// წყალდიდობისა და შიმშილის

/// გვალვისა და სასმელი წყლის ნაკლებობის

// გვალვისა და შიმშილის

/// წყალდიდობისა და სასმელი წყლის ნაკლებობის

ჰიგიენა

შესავალი. გარემოს დაბინძურების მთავარი წყაროები

////1. ჰიგიენა შეისწავლის:

/// გარემოს ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე

/// სოციალური პირობების გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე

/// მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას

// გარემოსა და სოციალური ფაქტორების გავლენას ადამიანის ორგანიზმზე

////2. ჯანმრთელობა არის:

/// დაავადებების არარსებობა

/// ფიზიკური დეფექტების არარსებობა

// ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობა

/// დაავადებებისა და ფიზიკური დეფექტების არარსებობა

////3. პირველადი პროფილაქტიკა მიმართულია:

/// დაავადების გამომწვევი მიზეზების აღკვეთისაკენ

/// ორგანიზმის დამცველობითი და ადაპტაციური ძალების მომატებისაკენ

/// ქრონიკული დაავადებების გამწვავებების თავიდან აცილებისაკენ

// დაავადებების გამომწვევი მიზეზების აღკვეთისაკენ და ორგანიზმის დამცველობითი და შემგუებლური ძალების მომატებისაკენ

////4. მეორეული პროფილაქტიკა მიმართულია:

/// დაავადების გამომწვევი მიზეზების აღკვეთისაკენ

// ქრონიკული დაავადებების გამწვავებების თავიდან აცილებისაკენ

/// ორგანიზმის დამცველობითი და ადაპტაციური ძალების მომატებისაკენ

/// სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მომატებისა და სიკვდილიანობის შემცირებისაკენ

////5. მესამეული პროფილაქტიკა მიმართულია:

/// დაავადების გამომწვევი მიზეზების აღკვეთისაკენ

/// ქრონიკული დაავადებების გამწვავებების თავიდან აცილებისაკენ

// რეაბილიტაციისაკენ

/// ორგანიზმის დამცველობითი და ადაპტაციური ძალების მომატებისაკენ

////6. გარემოს დაბინძურების ზრდა უკავშირდება:

/// ინდუსტრიულ რევილუციას, მადნეულის მოპოვებასა და გადამუშავებას

// ინდუსტრიულ რევილუციას, მეორე მსოფლიო ომს, კატასტროფებს

/// სამუშაო ადგილების დაბინძურებას, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების რაოდენობის ზრდას

/// სოფლის მეურნეობის განვითარებას

////7. დიოქსინით მოწამვლას ახასიათებს:

/// ფილტვების შეშუპება

// ქლორაკნეს განვითარება

/// თავის ტვინისა და კორონარული სისხლძარღვების სპაზმი

/// ნერვულ-პარალიზური სინდრომის განვითარება

////8. პოლიქლორირებული ბიფენილებით მოწამვლის შემთხვევაში სიკვდილის მიზეზს ხშირად წარმოადგენს:

/// სუნთქვის ცენტრის დამბლა და გულის მუშაობის გაჩერება

/// თავის ტვინის მწვავე შეშუპება, კრუნჩხვები

// ღვიძლის ციროზი და ჰეპატომეგალია

/// გაუწყლოება და კომატოზური მდგომარეობა

ჰაეროვანი გარემოს დახასიათება

////1. ოზონის ზოგადბიოლოგიური მნიშვნელობა: შთანთქავს მზის:

/// მოკლეტალღოვან ინფრაწითელ გამოსხივებას

/// გრძელტალღოვან ინფრაწითელ გამოსხივებას

// მოკლეტალღოვან ულტრაიისფერ გამოსხივებას

/// გრძელტალღოვან ულტრაიისფერ გამოსხივებას

////2. აზოტი და ინერტული აირების ჯგუფი ნარკოტიკულ მოქმედებას ავლენს შემდეგ პირობებში:

- /// მაღალი ტენიანობის
- /// მაღალი ტემპერატურის
- /// მომატებული რადიაციული ფონის
- // მაღალი წნევის

////3. რადონს ახასიათებს მოქმედება:

- // კანცეროგენული
- /// სუნთქვის ცენტრის ამგზნები
- /// ძლიერი დამჟანგავი
- /// ბაქტერიოციდული

////4. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი ნორმატივები:

- /// კოლი-ტიტრი, კოლი-ინდექსი
- /// ჰაერის ბაქტერიული მოთესვიანობა
- // ნივთიერების მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღელამური კონცენტრაციები
- /// ტოქსიკური და არატოქსიკური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

////5. ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგოდ მოწოდებულია საწვავად გამოყენება:

- /// სინთეზური მასალების
- // ბუნებრივი აირის
- /// ქვანახშირის
- /// ნავთობის

////6. ციკლონი წარმოადგენს მოწყობილობას, რომელიც მოწოდებულია:

- // მტვრის დამჭერად
- /// წყალში შეწონილი ნაწილაკების დასაღებად
- /// ნიადაგის დაბინძურების ხარისხის დასადგენად
- /// გარემოს გამაგრილებელი უნარის შესაფასებლად

////7. ინფრაწითელი გამოსხივების ბიოლოგიური მოქმედება ძირითადად განისაზღვრება:

- /// კომპტონის ეფექტით
- // სითბური ეფექტით
- /// იონიზაციის პროცესით
- /// თავისუფალი რადიკალების წარმოქმნით

////8. გრძელტალღოვანი ინფრაწითელი რადიაცია შთაინთქმება:

- /// შინაგანი ორგანოების მიერ
- /// კანის ღრმა შრეების მიერ
- // კანის ზედაპირული შრეების მიერ
- /// ქსოვილოვანი სითხეების მიერ

////9. ინფრაწითელი რადიაციის მაღალი ინტენსივობის პირობებში ორგანიზმის სპეციფიკურ რეაქციას წარმოადგენს:

/// სითბური დაკვრა

// მზის დაკვრა

/// ერთიემის განვითარება

/// სპეციფიკური სხივური დამწვრობა

////10. ულტრაიისფერი გამოსხივების ნაკლებობის პროფილაქტიკისათვის მოწოდებულია:

// დასახლებული პუნქტების სწორი დაგეგმარება

/// შემწოვ-გამწოვი ვენტილაციის დამონტაჟება

/// პირადი ჰიგიენის წესების დაცვა

/// მზამ-ქიმიკატებისა და პესტიციდების გამოყენების შეზღუდვა

////11. მზის მომატებული აქტივობის პერიოდებს ემთხვევა:

// გრიპის პანდემია

/// ქოლერის ეპიდემია

/// ყვავილის ეპიდემია

/// იოდდეფიციტური დაავადებების გახშირება

////12. ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურას განსაზღვრავს:

/// დედამიწაზე დაცემული ულტრაიისფერი სხივების რაოდენობა

/// დედამიწიდან არეკლილი ულტრაიისფერი სხივების რაოდენობა

/// ატმოსფეროს შრეებში გავლილი მზის ინფრაწითელი სხივების რაოდენობა

// ნიადაგიდან გაცემული სითბოს რაოდენობა

////13. აბსოლუტური ტენიანობა წარმოადგენს:

// 1 მ3 ჰაერში არსებული წყლის ორთქლის რაოდენობას

/// წყლის ორთქლის რაოდენობას, რომელიც აჯერებს ჰაერს

/// სიდიდეს, რომელიც გვიჩვენებს ჰაერის გაჯერების პროცენტს გაზომვის მომენტში

/// სიდიდეს, რომელიც გვიჩვენებს ჰაეროვანი გარემოს მიერ ტენის შთანთქმის უნარს

////14. კესონში შექმნილი წნევის სიდიდე დამოკიდებულია:

/// წყალში მარილის კონცენტრაციაზე

// მისი მდებარეობის სიღრმეზე

/// მასში არსებულ ტემპერატურაზე

/// მის ირგვლივ წყლის ტემპერატურაზე

////15. დეკომპრესიის დროს შეიძლება განვითარდეს დაავადება:

/// სხივური

// კესონის

/// სიმაღლის

/// რეინოს

წყალი და ჯანმრთელობა

////1. სპეციალური დამუშავებისა და გაუვნებლების გარეშე სასმელად გამოიყენება წყლები:

- /// მიწისზედა
- /// ზედაპირული
- /// გრუნტის
- // არტეზიული

////2. საყოფაცხოვრებო ნახმარი წყლები დიდი რაოდენობით შეიცავს:

- /// მძიმე მეტალებს, ნავთობპროდუქტებს
- // მიკროორგანიზმებს, ბიოგენურ ელემენტებს
- /// რადიონუკლიდებს
- /// პესტიციდებს, ინფექციურ აგენტებს

////3. სასმელი წყლის მინერალურმა შემადგენლობამ შეიძლება გამოიწვიოს შემდეგი დაავადებების განვითარება:

- // არაინფექციური
- /// ინფექციური
- /// ანთროპოზოონოზური
- /// სისტემური

////4. სიხისტე ასახავს წყალში უპირატესად შემდეგი იონების შემცველობას:

- /// კალიუმისა და ნატრიუმის
- /// კალიუმისა და კალციუმის
- // კალციუმისა და მაგნიუმის
- /// მაგნიუმისა და ნატრიუმის

////5. ხისტი წყლის ხანგრძლივად გამოყენება იწვევს შემდეგი დაავადების განვითარებას:

- /// პროსტატის ადენომის
- /// ნეფრიტის
- /// პიელონეფრიტის
- // კენჭოვანი დაავადების

////6. სასმელ წყალში ნიტრატების ზედმეტი შემცველობა იწვევს განვითარებას:

- /// სიმსივნური დაავადებების
- /// შაქრიანი დიაბეტის
- // წყალ-ნიტრატული მეტემოგლობინემიის
- /// ნიტრატული ათეროსკლეროზის

////7. სასმელ წყალში არსებული აუცილებელი ელემენტებია:

- /// ნიტრატები, ციანიდები
- /// სინთეზური ორგანული ნივთიერებები, ვერცხლისწყალი
- // ფტორი, იოდი, სელენი
- /// ფტორი, იოდი, დარიშხანი, სელენი, ტყვია, თუთია

////8. ინფექციური დაავადებების მიზეზს წარმოადგენს წყალი, რომელიც შეიცავს:

- /// რადიოაქტიურ ელემენტებს
- /// მძიმე მეტალებს
- /// კანცეროგენულ და მუტაგენურ აგენტებს
- // პათოგენურ მიკროორგანიზმებს

////9. წყლისმიერი დაავადებების ტიპური მაგალითია:

- /// მალარია, შისტოსომიდოზი
- // ქოლერა, მუცლის ტიფი
- /// ამეზიაზი, ფატალური მენინგიტი
- /// ყვითელი ცხელება, იაპონური ენცეფალიტი

////10. პოლიომიელიტის აფეთქება უკავშირდება წყლის დაბინძურებას:

- // ენტეროვირუსებით
- /// ადენოვირუსებით
- /// ფილტრში გამავალი ვირუსებით
- /// არბოვირუსებით

////11. წყლის ხარისხის ნორმატივები ვრცელდება:

- /// წყლის მოხმარების მთელ ობიექტზე
- /// მხოლოდ ცენტრალიზებული წყალგაყვანილობის სისტემაზე
- /// მხოლოდ დეცენტრალიზებული წყალმომარაგების წყაროებზე
- // მხოლოდ მოსახლეობის მიერ წყლის მოხმარების პუნქტებზე

////12. როგორც მტკნარი, ასევე მარილიანი რეკრეაციული წყლების ხარისხის შესაფასებელ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს რაოდენობის განსაზღვრა:

- /// ნაწლავის ჩხირის
- // ფეკალური სტრეპტოკოკის
- /// ოქროსფერი სტაფილოკოკის
- /// მენინგოკოკის

ნადავის გავლენა ჯანმრთელობაზე

////1. ნაწილაკების დიამეტრის სიდიდის მიხედვით (ნაკლებიდან მეტისაკენ) სწორ თანმიმდევრობას წარმოადგენს:

- /// თიხა, ქვიშა, ჰუმუსის კოლოიდური ფრაქცია
- /// ჰუმუსის კოლოიდური ფრაქცია, ქვიშა, თიხა
- /// ქვიშა, თიხა, ჰუმუსის კოლოიდური ფრაქცია
- // ჰუმუსის კოლოიდური ფრაქცია, თიხა, ქვიშა

////2. რადონის კონცენტრაცია ყველაზე მაღალია შენობის:

- // სარდაფში
- /// პირველ სართულზე
- /// ბოლო სართულზე
- /// სახურავზე

////3. ნიადაგში მიკროელემენტების არასაკმარისი ან ზედმეტი შემცველობის გამო შეიძლება ადგილი ჰქონდეს დაავადებების განვითარებას, რომლებსაც ეწოდებათ:

/// სპეციფიკური

/// ანთროპოზოონოზური

// გეოქიმიური

/// ნიადაგისმიერი

////4. ნიადაგის გზით ბუჩების საშუალებით შეიძლება გავრცელდეს:

/// კატარაქტა

/// რეტინიტი

/// გლაუკომა

// ტრაქომა

////5. ქონდრო- და ოსტეოდისტროფიას იწვევს ნიადაგში მაღალი კონცენტრაცია:

/// ფტორის

/// სელენის

// სტრონციუმის

/// ტყვიის

////6. ნიადაგის ტოქსიკოლოგიურ მნიშვნელობაზე მიუთითებს მისი დაბინძურება:

/// პათოგენური მიკროორგანიზმებით

/// ვირუსებით

/// სოკოებით

// შხამიანი ნივთიერებებით

////7. ნიადაგის მუდმივ ბინადრებად ითვლებიან:

/// ჰელმინთები

/// ვირუსები

// სპოროვანი მიკრობები

/// არასპოროვანი მიკრობები

////8. ჰუმუსი შეიცავს:

/// ტოქსიკურ ნივთიერებებს

/// ინფექციების ცოცხალ გამომწვევეებს

/// რადიოაქტიურ ნივთიერებებს

// მცენარეთა საკვებ ნივთიერებებს

////9. ნიადაგის დაბინძურების და თვითგაწმენდის პროცესების ინტენსივობის ხარისხის შესაფასებელი ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლებია:

/// კოლი-ტიტრი და კოლი-ინდექსი

// კოლი-ტიტრი და ანაერობების ტიტრი

/// სპოროვანი და არასპოროვანი პათოგენური მიკროორგანიზმების ტიტრი

/// კოლი-ინდექსი და სპოროვანი პათოგენური მიკროორგანიზმების ტიტრი

////10. რადიოაქტიური ნარჩენების გაუვნებლება ხდება მათი:

/// დაწვით

/// კომპოსტირებით

/// პიროლიზით

// დამარხვით

ურბანიზაცია და შენობასთან ასოცირებული დაავადებები

////1. “იტაი-იტაით” დაავადება დაკავშირებულია მოსახლეობის მოწამვლასთან:

/// ვერცხლისწყლით

// კადმიუმით

/// ტყვიით

/// სელენით

////2. გადანაყრების ადეკვატური შეგროვება ხელს უწყობს შემდეგი დაავადებების თავიდან აცილებას:

/// Q-ცხელება, რეინოს დაავადება

// ჩაგასის დაავადება, ლეიშმანიოზი

/// მალარია, ყვითელი ცხელება

/// ლეგიონერების დაავადება

////3. მრავალსართულიან სახლებში აუცილებელია არსებობა:

/// აუზის

/// სპორტული დარბაზის

// სამგზავრო/სატვირთო ლიფტების

/// აფთიაქის

////4. განედური ორიენტაციის სახლებში ერთოთახიანი ბინები ან საერთოდ არ პროექტირდება, ან ორიენტირებული არიან:

/// აღმოსავლეთის მხარეზე

/// დასავლეთის მხარეზე

// სამხრეთის მხარეზე

/// ჩრდილოეთის მხარეზე

////5. დახურული სათავსების ჰაერის სისუფთავის მაჩვენებლად ითვლება:

/// ჟანგბადი

// ნახშირორჟანგი

/// ნახშირჟანგი

/// ოზონი

////6. კვარტალის მშენებლობის ტიპებია:

/// რადიალური, წრიული

/// კვადრატული, სწორხაზოვანი

/// რადიალური, სწორხაზოვანი, პარალელური

// პერიმეტრული, გვირისტული, ჯგუფური

////7. ნაგებობასთან ასოცირებული დაავადებები თავს იჩენენ:

/// საცხოვრებელ სახლებში

/// დაწესებულებებში

/// სამრეწველო საწარმოებში

// ყველა სახის შენობაში

////8. ხანმოკლე ლატენტური პერიოდის მქონე დაავადებებს მიეკუთვნება:

/// ჩაკეტილი სათავსის სინდრომი, მასობრივი ფსიქოგენური დაავადება, ფილტვის კიბო

/// ნაგებობასთან ასოცირებული ინფექციები, ლეგიონერების დაავადება, ქრონიკული კეთილთვისებიანი რესპირატორული დაავადება

// ლეგიონერების დაავადება, პონტიაქის ცხელება, Q-ცხელება

/// სპეციფიკურ კონტამინანტებთან ასოცირებული დაავადებები, ფილტვის კიბო

////9. მასობრივი ფსიქოგენური დაავადების მკურნალობა გულისხმობს ჩატარებას:

/// შოკური თერაპიის

/// იმუნომასტიმულირებელი თერაპიის

/// დეჰელმინთიზაციის

// ახსნა-განმარტებითი მუშაობის

////10. ჰიპერენსიტიური პნევმონიტები წარმოადგენენ ინჰალაციის შედეგს:

/// აზოტის/გოგირდის ჟანგეულების

/// ტეტრაეთილტყვიის

/// კვარცის მტვრის

// ორგანული მტვრის

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ჰიგიენა

////1. საცხოვრებელი რაიონებისგან დაშორებით უნდა აშენდეს შემდეგი საავადმყოფოები:

// ინფექციური

/// ბავშვთა

/// კარდიო-რევმატოლოგიური

/// ტრავმატოლოგიური

////2. საავადმყოფოს ძირითად ფუნქციურ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს:

/// პალატა

/// სექცია

// განყოფილება

/// მიმღები და სან.გამტარი

////3. პალატაში აუცილებელია ჰაერცვლა საათში:

/// ერთჯერადი

// ორჯერადი

/// სამჯერადი

/// ოთხჯერადი

////4. საოპერაციოები პროექტირდება:

/// აღმოსავლეთის მხარეს

/// დასავლეთის მხარეს

// ჩრდილოეთის მხარეს

/// სამხრეთის მხარეს

////5. საოპერაციოს სტერილიზაცია ოპერაციის დროს წარმოებს:

/// პირდაპირი განათებით

// არეკლილი სხივებით

/// გარდატეხილი სხივებით

/// მზის ბუნებრივი ულტრაიისფერი სხივებით

////6. მრავალსართულიან საავადმყოფოებში კვების ბლოკის განთავსება უმჯობესია:

/// სარდაფში

/// პირველ სართულზე

/// შენობის შუა სართულზე

// ზედა სართულზე

////7. საავადმყოფოს მყარი გადანაწილები, გამოყენებული შესახვევი და სხვა სახის მასალა უნდა:

/// გადაიყაროს ჩვეულებრივი წესით

/// დაიმარხოოს სამარხში

// დაიწვას სპეციალურ ღუმელებში

/// დაიტკეპნოს ნაგავსაყრელებზე

ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა

////1. ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენა სწავლობს მოზარდ ორგანიზმზე გავლენას:

/// საყოფაცხოვრებო პირობების

/// სასწავლო პირობების

// გარემო ფაქტორების

/// დაავადების გამომწვევი მიზეზების

////2. სწავლისა და ფიზიკური აღზრდის ორგანიზაცია უნდა ეყრდნობოდეს მოზარდი ორგანიზმის:

/// საყოფაცხოვრებო პირობების თავისებურებებს

// ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებებს

/// ჩვევებს

/// ფსიქიკურ მდგომარეობას

////3. ხერხემლის ფორმირების თავისებურებებიდან გამომდინარე, სხეულის არასწორი მდებარეობის და ხანგრძლივი ერთმხრივი დატვირთვის დროს შესაძლოა განვითარდეს:

/// ქათმისებრი გულმკერდი

/// ძაბრისებრი გულმკერდი

// კიფოზი

/// ბრტყელტერფიანობა

////4. ბავშვთა ასაკში ხშირი ყაზობის მიზეზს წარმოადგენს:

/// არაადეკვატური საკვების მიღება

/// კუჭის მცირე მოცულობა

/// კუჭის წვენის დაქვეითებული სიმჟავე და ფერმენტული აქტივობა

// ნაწლავის სუსტად განვითარებული კუნთოვანი გარსი და ელასტიური ბოჭკოები

////5. ახალშობილებს თავის ტვინის ნაწილებს შორის ყველაზე ცუდად განვითარებული აქვთ:

/// ნათხემი

/// მოგრძო ტვინი

// დიდი ჰემისფეროების ქერქი

/// ქერქქვეშა ცენტრები

////6. მოძრაობითი მოუსვენრობის მდგომარეობა განიხილება, როგორც:

/// პათოლოგიური მდგომარეობა

// დაცვითი რეაქცია

/// საპროტესტო რეაქცია

/// გადაღლა

////7. აქსელერაცია წარმოადგენს შედეგს:

/// მზის გამოსხივების ინტენსივობის მომატების

/// რადიაციული ფონის მომატების

/// კვების ხარისხის გაუმჯობესების

// ორგანიზმზე გარემო ფაქტორების ჯამური მოქმედების

////8. ბავშვთა მოსახლეობას შორის პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვთა:

/// საავადმყოფო

/// სარეაბილიტაციო დაწესებულებები

/// სანატორიუმი

// პოლიკლინიკა

////9. ძუძუთი კვებასთან ერთად დამატებითი კვება ბავშვმა უნდა მიიღოს:

/// 4 თვის შემდეგ

/// 5 თვის შემდეგ

/// 6 თვის შემდეგ

/// 1 წლის შემდეგ

////10. ახალგაზრდების მიერ აქტიური სქესობრივი ცხოვრების ძირითადად 19 წლამდე ასაკიდან დაწყებას და დაუცველ სექსუალურ კავშირებს თან სდევს რისკი:

/// ციროზით დაავადების

/// ფსიქიკური პრობლემების

// სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით დაინფიცირების

/// ორსულობის პათოლოგიის

კვება და ჯანმრთელობა

////1. შიმშილი წარმოადგენს პათოლოგიური მდგომარეობის ფორმას, რომელსაც იწვევს:

/// საკვებ რაციონში რამდენიმე საკვები ნივთიერების შეფარდებითი/აბსოლუტური უკმარისობა

/// საკვებ რაციონში ერთი საკვები ნივთიერების შეფარდებითი/აბსოლუტური უკმარისობა

/// საკვებ რაციონში ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების არასწორი შეფარდება

// არასაკმარისი კალორიულობის საკვების მიღება

////2. მოწოდებულია ორგანიზმის ფერმენტული კრებულის შესაბამისობის კანონი:

/// ბალანსირებულ კვებასთან

/// ბალანსირების სპეციფიკურ ფორმასთან

/// საკვები რაციონის ენერგეტიკულ ღირებულებასთან

// საკვები რაციონის ქიმიურ სტრუქტურასთან

////3. საკვების ნაკლები რაოდენობის და ხარისხობრივი არასრულფასოვნების ერთ-ერთ ძირითად შედეგს წარმოადგენს სპეციფიკური დაავადების განვითარება:

/// კუშინგის

/// კვინკეს

// კვაშიორკორის

/// კარელის

////4. შრომის ინტენსივობის I ჯგუფში შედიან ადამიანები, რომლებიც დაკავებული არიან:

// გონებრივი შრომით

/// მექანიზებულ შრომით

/// მომსახურეობის სფეროში

/// მძიმე ფიზიკური შრომით

////5. ბავშვთა ასაკში 8 შეუნაცვლად ამინომჟავას ემატება:

/// ტრიპტოფანი და ლიზინი

/// მეთიონინი და ფენილალანინი

/// ტრეონინი და ვალინი

// არგინინი და ჰისტიდინი

////6. ცხიმების კომპონენტებიდან კვების შეუნაცვლად ფაქტორს წარმოადგენენ:

/// ფოსფატიდები

/// სტერინები

/// ტოკოფეროლები

// პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავები

////7. საკვებ რაციონში ყველაზე მეტად მისაღებია ცილებს, ცხიმებსა და ნახშირწყლებს შორის შეფარდება:

/// 1 : 0,8 : 3

// 1 : 1 : 4

/// 1 : 1 : 5

/// 1 : 0,8 : 4

////8. ფოსფორისა და კალციუმის არაბალანსირებული შემცველობის პირობებში მოზრდილებში ვითარდება დაავადება:

/// კვაშიორკორი

// ოსტეოპოროზი

/// რაქიტი

/// დისტროფია

////9. ენდოგენური ჰიპოვიტამინოზის მიზეზს წარმოადგენს საკვებ რაციონში ვიტამინების:

/// არარსებობა

/// მცირე რაოდენობით არსებობა

/// ზედმეტი რაოდენობა

// ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები

////10. თიამინის უკმარისობა იწვევს:

- /// პელაგრას
- /// დერმატიტს
- // ბერი-ბერის
- /// რაქიტს

////11. ხორცის საგემოვნო მარკენებლები განისაზღვრება მასში არსებობით:

- /// ნახშირწყლების
- /// პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავების
- // აზოტური ექსტრაქტული ნივთიერებების
- /// კუნთოვანი ცილების

////12. პრიონი არის:

- /// ვირუსი
- /// ერთუჯრედიანი ორგანიზმი
- // ცილოვანი ფრაგმენტი
- /// მიკროსკოპული სოკო

////13. კრეიტცფელდ-იაკობის დაავადების მიზეზია საქონლის ხორცი, დაავადებული:

- /// ბრუცელოზით
- // ღრუბლისებრი ენცეფალოპათიით
- /// ნამგლისებური ანემიით
- /// ტუბერკულოზით

////14. თევზით გამოწვეულ ჰელმინთოზებს მიეკუთვნება:

- /// ტენილოზი
- /// ტრიქინელოზი
- /// ანკილოსტომიდოზი
- // დიფილობოტრიოზი

////15. ტოქსიკოინფექციის პროფილაქტიკა გულისხმობს:

- /// საყოველთაო აცრების ჩატარებას
- /// შეზღუდული კონტინგენტის აცრას
- /// ვეტერინარულ-სანიტარიული კონტროლის დაწესებას ენდემურ კერებში
- // ჰიგიენური წესების დაცვას საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე

ჯანსაღი საწარმოო გარემოს შექმნის ხელშეწყობა. პროფესიული პათოლოგიის პრევენცია

////1. პროფესიული მავნებლების მოქმედების სპეციფიკურ გამოხატულებას წარმოადგენს:

- /// სისტემური დაავადების ჩამოყალიბება
- // პროფესიული დაავადების ჩამოყალიბება
- /// ორგანიზმის წინააღმდეგუნარიანობის დაქვეითება
- /// შრომის უნარის დაქვეითება/დაკარგვა

////2. მზის დაკვრას იწვევს:

// ინფრაწითელი სხივები

/// ულტრაიისფერი სხივები

/// ხილული სხივები

/// ბეტა-, გამა-სხივები

////3. ჯილეხის შემთხვევაში საექვო ტყავეულს იკვლევენ:

/// ჰედელსონის სააგლუტინაციო რეაქციით

/// რაიტის სააგლუტინაციო რეაქციით

// ასკოლის საპრეციპიტაციო რეაქციით

/// ბიურნეს კანქვემა სინჯით

////4. ძროხა წარმოადგენს რეზერვუარს ბრუცელეზის შემდეგი ტიპებისათვის:

/// melitensis

// abortus bovis

/// melitensis, suis

/// abortus bovis, suis

////5. ადამიანებს, რომლებიც მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებენ ხანგრძლივი დგომის პროცესში, უვითარდებათ:

// თიაქარი

/// პნევმოკონიოზი

/// ვიბრაციული დაავადება

/// სატურნიზმი

////6. კოორდინატორული ნევროზის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს წერთი:

/// დამბლა

// კრუნჩხვა

/// ნევროზი

/// ნევრალგია

////7. ვიბრაციული დაავადების დროს ადგილი აქვს ფენომენს:

// „მკვდარი თითის“

/// „წერთი სპაზმის“

/// „ნევრალგიური სახსრის“

/// „ნამიანი მტევის“

////8. შარდის ბუშტის კიბოს გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს:

// ანილინის ორთქლი (ბენზიდინი)

/// რადონი

/// მაიონებელი რადიაცია

/// კვარცის მტვერი (სილიციუმის ორჟანგი)

////9. პროფესიული კიბოს პროფილაქტიკის მიზნით აუცილებელია:

/// ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენება

/// იმუნომასტიმულირებელი და ვიტამინოთერაპიის ჩატარება

// აღჭურვილობის სრული ჰერმეტიზაცია

/// კანცეროგენებთან მუშაობის დროის შემცირება

////10. სილიკოზს იწვევს ფილტვის ქსოვილში მტვრის ნაწილაკების დაგროვება, რომლებიც შეიცავენ:

- // სილიციუმის ორჟანგს
- /// სილიციუმის სამჟანგს
- /// სილიციუმის მჟავას
- /// სილიციუმმჟავას მარილებს

////11. ანთრაკოზს იწვევს მტვერი:

- /// რკინის
- /// ალუმინის
- // ნახშირის
- /// კვარცის

////12. საწარმოო შხამების ცალკე ჯგუფშია გაერთიანებული:

- // ნახშირჟანგი, ციანის მჟავა, გოგირდწყალბადი
- /// დიოქსინები, პოლიქლორირებული ბიფენილები
- /// სილიციუმის ორჟანგი, სილიციუმის სამჟანგი, სილიციუმმჟავას მარილები
- /// გოგირდის ანჰიდრიდი, აზოტის ჟანგეულები

////13. ალიფატურ ნაერთებს აქვთ უპირატესად მოქმედება:

- /// დამწვრობითი
- // ნარკოტიკული
- /// პარენქიმული ორგანოების დამაზიანებელი
- /// ზემო სასუნთქი გზების/თვალის ლორწოვანი გარსის გამაღიზიანებელი

////14. სამრეწველო შხამების მცირე კონცენტრაციების ხანგრძლივად მოქმედების პირობებში შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- /// ადინამია
- /// ჰიპოდინამია
- /// აკლიმატიზაცია
- // ადაპტაცია

////15. ტყვიით ქრონიკული მოწამვლის დროს უპირატესად ზიანდება:

- // ცენტრალური ნერვული სისტემა
- /// შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები
- /// შარდ-სასქესო სისტემა
- /// ლიმფური ჯირკვლები

რადიაციული უსაფრთხოება

////1. მაიონებული გამოსხივების სახეებია:

- /// ალფა-, ბეტა-, ნეიტრონული
- /// პროტონული, ნეიტრონული, პოზიტრონული
- // კორპუსკულური, ელექტრომაგნიტური
- /// გამა-, რენტგენის

////2. ადამიანის დასხივების ჯამური დოზის ფორმირებაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის:

/// ბუნებრივ რადიაციულ ფონს

// ბუნებრივ რადიაციულ ფონსა და სამედიცინო დასხივებას

/// პროფესიონალთა დასხივებას

/// პროფესიონალთა და სამედიცინო დასხივებას

////3. რადონი წარმოადგენს:

// α - გამომსხივებელს

/// β - გამომსხივებელს

/// γ - გამომსხივებელს

/// ნეიტრონულ გამომსხივებელს

////4. ადამიანის ორგანიზმში K^{40} ძირითადად ლაგდება:

/// ტვინში, ელენთაში

/// თირკმლებში, ღვიძლში

// კუნთებში, ერითროციტებში

/// ძვლის ტვინში, ლეიკოციტებში

////5. დნმ-ის, რნმ-ის ცილოვან მოლეკულაში ^{14}C გარდაქმნამ შეიძლება გამოიწვიოს:

/// სტოქასტური ცვლილება

/// დეტერმინირებული ცვლილება

// მუტაცია

/// კომპტონის ეფექტი

////6. ბირთვული იარაღის აფეთქებების დროს გარემოს ობიექტებში იქმნება ინდუცირებული რადიოაქტივობა, რაც შედეგია მათზე ზემოქმედების:

/// პროტონების

/// ელექტრონების

/// მეზონების

// ნეიტრონების

////7. Si სისტემაში ეკვივალენტური დოზის ერთეულია:

/// კიური

/// ბეკერელი

/// გრეი

// ზივერტი

////8. უჯრედი დასხივების მიმართ ყველაზე მგრძობიარეა:

/// მთელი მიტოზის პერიოდში

// ნაადრევ პროფაზასა და მის შუა პერიოდში

/// მოგვიანებით პროფაზასა და მის ბოლოს

/// ინტერფაზასა და ანაფაზაში

////9. დეტერმინირებულს მიეკუთვნება შემდეგი ეფექტები:

// სხივური დაავადება

/// გენეტიკური

/// მოგვიანებითი სომატური

/// კანცეროგენული

////10. ა კატეგორიას მიეკუთვნებიან პაციენტები, რომელთაც სხივური დიაგნოსტიკური კვლევები უტარდებათ:

// ონკოპათოლოგიის, მასზე ეჭვის არსებობის ან ურგენტული შემთხვევების დროს სასიცოცხლო ჩვენებებით

/// კლინიკური ჩვენებებით დიაგნოზის დასაზუსტებლად ან მკურნალობის ტაქტიკის შესარჩევად

/// პროფილაქტიკური მიზნით

/// შოკურ მდგომარეობაში ყოფნისას

////11. სასწრაფო ჩარევა და ყველა ღონისძიებების გატარება (ევაკუაციის ჩათვლით) საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის დასახევის მოსალოდნელი დოზა აღწევს ისეთ სიდიდეს, რომლის გადაჭარბებამ შესაძლებელია გამოიწვიოს:

/// მწვავე სხივური დაავადება

/// სხივური დამწვრობა

/// კანცეროგენული პროცესი

// კლინიკურად გამოხატული ეფექტები

////12. სტაბილური იოდის პრეპარატები მოსახლეობას მიეცემა ერთჯერადად:

/// მოსალოდნელი ავარიის შემთხვევაში

// მაშინვე, როგორც კი ცნობილი გახდება ავარიის არსებობა

/// ავარიიდან 24 საათში

/// ავარიიდან 48 საათში

////13. თუ ავარიის შემთხვევაში მოსახლეობისათვის სტაბილური იოდის მიცემა ვერ ხერხდება:

/// უნდა მიეცეს ვიტამინების კომპლექსი

/// უნდა მიეცეს მაგარი ჩაი ან ყავა

/// მოსახლეობა უნდა ჩავიდეს თავშესაფარში

// სასწრაფოდ უნდა მოხდეს მოსახლეობის ევაკუაცია

////14. ავარიული სიტუაციის დროს ორგანიზმში გარემოს ობიექტებიდან ბიოლოგიურად აქტიური რადიონუკლიდების (სტრონციუმისა და ცეზიუმის) ჩალაგების შესაფერხებლად საჭიროა ორგანიზმის უზრუნველყოფა ამ რადიონუკლიდების კონკურენტი ელემენტებით, სტაბილური:

/// ნატრიუმითა და კალიუმით

/// კალციუმითა და ქრომით

// კალციუმითა და კალიუმით

/// ქრომითა და სელენით

////15. მაიონებელი გამოსხივების დახურულ წყაროებთან მუშაობის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია დაცვა:

// რაოდენობით, მანძილით, დროით, ფარებით

/// დოზის ნორმირებითა და დასახევის პროცესის ოპტიმიზებით

/// საწარმოო პროცესების ჰერმეტიულობა/მექანიზაციით

/// ინდივიდუალური დამცავი საშუალებებით

აფთიაქის ჰიგიენა

////1. აფთიაქი უფლებამოსილია:

- // შეიძინოს სამკურნალო საშუალებები და სამედიცინო დანიშნულების საგნები
- /// შეიმუშაოს საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“
- /// შეიმუშაოს წესები და ნორმები აფთიაქის მოწყობისა და ექსპლუატაციისათვის
- /// შეიძინოს მიწის ნაკვეთი და მოამზადოს ახალი აფთიაქის მშენებლობის პროექტი

////2. სანიტარიული დამცავი ზონის მოწყობა აუცილებელია აფთიაქის მიწის ნაკვეთსა და შემდეგ ობიექტებს შორის:

- /// სავადმყოფოები, ბაგა-ბაღები
- /// ქალაქის სელიტებური ტერიტორია
- /// სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ტყე-პარკები
- // სამრეწველო საწარმოები, აეროპორტები

////3. აფთიაქში ცეცხლსაშიში და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების შესანახ სათავსებს უნდა ჰქონდეს:

- /// სარდაფი
- /// გამჭოლი განიავების შესაძლებლობა
- /// ორმაგი კარი
- // სიგნალიზაცია

////4. აფთიაქში ჯანმრთელობაზე მოქმედ მთავარ არასასურველ ფაქტორს წარმოადგენს:

- /// ხელზე გაყიდვების განყოფილებისა და საასისტენტოს შორის გამყოფი ტიხრის არსებობა
- // ჰაერში მომზხამველი ორთქლისა და აირის გამოყოფა
- /// მომხმარებლების დიდი ნაკადი
- /// მედიკამენტების ფართო ასორტიმენტი

////5. აფთიაქში თვალისა და ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას იწვევს:

- /// წყლის ორთქლი
- /// ნახშირორჟანგი
- // იოდის ორთქლი
- /// კვარცის მტვერი

////6. აფთიაქში ხანგრძლივად ვეხზე დგომისას შესაძლებელია განვითარდეს:

- /// ხერხემლის გამრუდება
- /// ჰემოროი
- /// მიოზიტი
- // ბრტყელტერფიანობა

////7. ეპიდემიოლოგიური საფრთხე ყველაზე მეტად აფთიაქის იმ თანამშრომლებს ემუქრებათ, რომელთა სამუშაო ადგილი არის:

- /// ადმინისტრაციულ შენობაში
- // სავაჭრო დარბაზში
- /// თეთრეულის გასარეცხ შენობაში
- /// საასისტენტოში

////8. პირადი ჰიგიენის წესები განსაკუთრებით მკაცრად უნდა დაიცვას აფთიაქის იმ პერსონალმა, რომელიც:

- /// მუშაობს სასტერილიზაციოში
- // წამლებს ამზადებს ასეპტიკურ პირობებში
- /// რეცხავს ნახმარ ინვენტარსა და ჭურჭელს
- /// მუშაობს საასისტენტოში

////9. პიროვნებად იწოდებიან ნივთიერებები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ:

- /// ჰიპოთერმიას
- // ჰიპერთერმიას
- /// ჰიპოტონიას
- /// ჰიპერტონიას

////10. ასაწონ და ოპტიკურ ოთახებში აკრძალულია:

- /// ხელსაწყოების შესანახი კარადების განთავსება
- /// კრონშტეინებზე მდგარი სასწორების განთავსება
- /// ლუმინესცენტური ნათურებით განათება
- // წყლისა და გაზის შეყვანა

ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის შრომის ჰიგიენა

////1. ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობა ხასიათდება:

- /// სამკურნალწამლო საშუალებების სინთეზის სიმარტივით
- /// ტექნოლოგიური სქემების იშვიათი განახლებით
- /// უმეტესი სამკურნალწამლო პრეპარატების წარმოების დიდი მოცულობით
- // ნომენკლატურული სამკურნალო პრეპარატების სწრაფი განახლებით

////2. ანტიბიოტიკების წარმოებაში პროფესიულ მავნეობას წარმოადგენს ჰაერის დაბინძურება:

- /// აირებითა და მტვრით
- /// სამკურნალწამლო ნივთიერებების ორთქლით
- /// ქიმიური ნივთიერებებით
- // სოკოვანი სპორებით

////3. საწარმოში შრომის არასასურველი სანიტარიული პირობების შექმნაში არსებითი როლი შეიძლება შეასრულოს:

- // სავენტილაციო დანადგარების არასაკმარისმა ეფექტურობამ
- /// აგრეგატების სითბურმა იზოლაციამ
- /// ხმაურმშთანთქმელი სამშენებლო მასალების გამოყენებამ
- /// ჰერმეტიზებულ უწყვეტ ტექნოლოგიურ პროცესებზე გადასვლამ

////4. ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების საწარმოში შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის საჭიროა:

- // აგრეგატების სითბური იზოლაცია
- /// დახურული პროცესების ღია პროცესებით შეცვლა
- /// დისტანციურ მართვაზე უარის თქმა
- /// სხვადასხვა ოპერაციების ხელით შესრულება

////5. მოქმედების მიხედვით ქლოროფორმი არის:

// ნარკოტიკი

/// ანალგეტიკი

/// ბარბიტურატი

/// ანტიბიოტიკი

////6. ფენოლის ტოქსიკური ზემოქმედების პროფილაქტიკისათვის საჭიროა:

/// დამწვარი ადგილების გულდასმით მოწმენდა სპირტით, საპნით ჩამოხანა

/// სპეცტანსაცმლის ცვლა

/// ეფექტურად მოქმედი ვენტილაცია

// ყველა ზემოთ აღნიშნული

////7. ანტიბიოტიკები იწვევენ:

/// სუნთქვის ცენტრის დამბლას

/// მძიმე დამწვრობას, რომელიც ძნელად ექვემდებარება მკურნალობას

// ალერგიულ რეაქციებს

/// ცნს დაზიანებას

////8. შრომის პირობები ექსტრაქტებისა და ნაყენების დამზადებისას, უპირველეს ყოვლისა, ხასიათდება ჰაერში არსებობით:

// მცენარეული ნედლეულის მტვრის

/// ნახშირორჟანგის

/// სინთეზური შენაერთების

/// ნახევრადსინთეზური შენაერთების

////9. ამჟღავნების წარმოებაში პერსონალი განიცდის შემდეგი მავნე ფაქტორების ზეგავლენას:

// ნახშირორჟანგის და მაღალი ტემპერატურის

/// დიქლორეთანის და დაბალი ტემპერატურის

/// ვერცხლისწყლის და მაღალი წნევის

/// აზოტის ჟანგეულების და დაბალი წნევის

////10. სატაბლეტე საამქროს გარემოს არასასურველ ფაქტორებს წარმოადგენენ:

/// ნახშირორჟანგი და დაბალი ტემპერატურა

// ხმაური და მაღალი ტემპერატურა

/// შუშის მტვრი და პროფესიული ინფექციები

/// ჰაერის მოძრაობის დიდი სიჩქარე და ზოგადი ვიბრაცია